ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წელს ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის უფლების მქონე ბარბარა იაცკოვიაკის, მარია მაგდალენა პრზიბოროვსკას და პაულინა სიეიეკის ჩარიცხვის შესახებ

ერაზმუს მუნდუსის მეორე აქტივობის პროექტის EUROEAST-ის ფარგლებში,

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, 52^1-ე მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის და მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №224/ნ საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 5 ნოემბრის №869 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 7 ნოემბრის №524212 წერილის (უნივერსიტეტში შემოსული: 11.11.2013 №03-24549/13), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარებისა და საგარეო ურთიერთობების სამსახურის უფროსის ნინო დვალიძის 2013 წლის 21 ნოემბრის №03-25104/13 სამსახურებრივი ბარათის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის გიორგი გვალიას 2013 წლის 21 ნოემბრის №03-25157/13 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. ბარბარა იაცკოვიაკი (პირადი №90031104684), ჩაირიცხოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე – პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები, პოლიტიკის

ანთროპოლოგია) 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ორი სემესტრის ვადით.

2. მარია მაგდალენა პრზიბოროვსკა (პირადი №83020700660), ჩაირიცხოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე – პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები, პოლიტიკის ანთროპოლოგია) 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ერთი სემესტრის ვადით.

3. პაულინა სიეიეკ (პირადი №90091015205), ჩაირიცხოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე – პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები, პოლიტიკის ანთროპოლოგია) 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ორი სემესტრის ვადით.

4. ბარბარა იაცკოვიაკის, მარია მაგდალენა პრზიბოროვსკას და პაულინა სიეიეკს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ერაზმუს მუნდუსის მეორე აქტივობის პროექტ EUROEAST-ის ფარგლებში ჩარიცხვის გამო, არ დაერიცხოთ სწავლის საფასური.

5. ბრძანება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წელს ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის უფლების მქონე ბარბარა იაცკოვიაკის, მარია მაგდალენა პრზიბოროვსკას და პაულინა სიეიეკის ჩარიცხვის შესახებ“ ბათილია ბრძანების გამოცემის მომენტიდან თუ არ დასტურდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

6. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს ბარბარა იაცკოვიაკის, მარია მაგდალენა პრზიბოროვსკას და პაულინა სიეიეკის პირადი საქმის მოწესრიგება.

7.უნივერსიტეტის სამდივნოს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

8. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს ამ ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილება ასახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზასა და შიდასაუნივერსიტეტო რეესტრში.

9. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ეს ბრძანება გააცნოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის სამმართველოებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამდივნოს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, არგუსის ადმინისტრატორს ცენტრალურ დონეზე ირინა ბაზღაძეს და სტუდენტებს ბარბარა იაცკოვიაკს, მარია მაგდალენა პრზიბოროვსკას და პაულინა სიეიეკს.

რექტორი **გიგი თევზაძე**

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ზურაბ ჯავახიშვილი**